საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზამთრის სოკო

ზამთრის სოკო (Flammulina velutipes), ქუდიანი სოკო ტრიქოლომასებრთა ოჯახისა. მისი ქუდის დიამეტრი 10 სმ აღწევს, ბრტყელია, შიშველი, ლორწოიანი ზედაპირი აქვს, ფერად ყვითელია, შუაში – მოყავისფრო. ქუდის ქვედა მხარეს განვითარებულია მეჩხრად განლაგებული, განიერი, მოყვითალო ფირფიტები. ფეხი ცილინდრულია, ძირში გაწვრილებული, ბოჭკოვან–ხავერდოვანი ზედაპირი აქვს; ზედა ნაწილი მოყვითალოა, ძირისკენ – ყავისფერი, შემდეგ – შავი. იზრდება ჯგუფებად დამპალ ფოთლოვან ხეებზე, განსაკუთრებით კი – ვერხვსა და ტირიფზე გვიანი შემოდგომიდან თითქმის გაზაფხულამდე. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული, განსაკუთრებით – ჭალის ტყეებში. იხმარება საკვებად. ზოგიერთ ქვეყანაში ხელოვნურად ამრავლებენ.

ი. ნახუცრიშვილი